№ 196

სამშაბათი, 11 სექტემბერი, 1901 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 196

სამშაბათი, 11 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ექიმი

ვასილი მიხეილის-ძე

მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—11).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოროღნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ახალი ამბავი

—

⁂ მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე და საბერძნეთის პრინცი ანდრია პარასკევს, 7 სექტემბერს, ტფილისში ჩამობრძანდნენ, მეორე დღეს, 8 სექტემბერს, ნიჟეგოროდცებისა და სევერცების დრაგუნთა რაზმის იუბილეს დაესწრნენ, რომელზედაც ხელმწიფის მიერ ნაბოძები ახალი დროშები გარდაეცათ, აქ საუზმე ინებეს და ორის ნახევარზედ სასახლეში მობრძანდნენ. მობრძანების დროსა დ ყველგან, სადაც-კი ხალხმა თვალი დაჰკრა უავგუსტოესს სტუმრებს, დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ.

ნაშუადღევის 5 საათსა 30 წამზედ, 8 სექტემბერს მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, დიდი მთავარნი მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე, მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე და საბერძნეთის მეფის ძე ანდრია გიორგის ძე საგანგებო მატარებლით ტფილისიდგან ბორჯომს მიბრძანდნენ. უავგუსტოესი სტუმრები გააცილეს ვოკზალამდე დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ, კავკასიის მთავარმმართებელმა თავ. გოლიცინმა, მთავარმართებლის თანაშემწემ ბ-ნმა ფრეზე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა, ქალაქის მოურავმა და სხ.

⁂ შაბათს, 8 სექტემბერს „Кавказскій Вѣстникъ“-ის რედაქციაში ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებისა და წარმომადგენლების სხდომა იყო დანიშნული იმის მოსალაპარაკებლად, თუ ადგილობრივის ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთა კრებაზედ, რომელიც განზრახული აქვთ გამოფენის დროს მოახდინონ, რა და რა საგნები უნდა იქმნეს წარდგენილი განსახილველად.

აღნიშნულს სხდომაზედ პროგრამაში შესატანად დასახელებულ იქმნენ შემდეგი საგნები: 1) ადგილობრივს ჟურნალ-გაზეთებს ნება მიეცეს უცენზუროთ გამოცემისა იმავე წესითა და რიგით, როგორც ეს სატახტო ქალაქებშია: 2) დაინიშნოს ცენზურები კავკასიის იმ ქალაქებში, სადაც ეს უფლება ადმინისტრაციას აქვს დღეს დათმობილი; 3) ნება მიეცეს ადგილობრივს ჟურნალ-გაზეთებს სატახტო ქალაქის გაზეთებიდგან ამოღებული წერილები უცენზოროთა ბეჭდონ; 4) საღამოს ცნობები უცენზოროთა ბეჭდონ ხოლმე; 5) რომ პეტერბურგისა დ მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილს ტელეგრამებს მეორედ არ დასჭირდეს ცენზორის მიერ გადასინჯვა; 6) კავკასიაში „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ განყოფილება იქმნეს გახსნილი; 7) ადგილობრივის ჟურნალ-გაზეთების გზავნა და დარიგება როგორ მოეწყოს; 8) ადგილობრივნი გამოცემანი რა წესით უნდა იქმნენ დაჯარიმებულნი; 9) ეცნობოს ხოლმე ადგილობრივს ჟურნალ-გაზეთებს ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს ყველა ცირკულიარები, რომლებიც საცენზურო კომიტეტს მოსდის; 10) ასოთ-ამწყობთა სკოლა იქმნეს დაარსებული; 11) რედაქციებსა და მწერლებს შორის როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს; 12) კავკასიის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა კრებები დრო გამოშვებით იმართებოდეს.

ამ საგნის შესახებ პარასკევს, 14 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში ხელ-ახლად მოხდება კრება, რომ პროგრამის კითხვები შევსებულ იქმნენ და მთავრობას წარედგინოს დასამტკიცებლად.

⁂ ნიჟეგოროდელ დრაგუნთა მე-44 რაზმის 200 წლის იუბილეისა გამო ამ რაზმის უფროსად ნამყოფს თავ. ი. გ. ამილახვარს უმაღლესად გენერალ-ადუტანტობა ებოძა.

⁂ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მისაღები გამოცდა ბავშვებისა 20 სექტემბერს, დილის 8 საათზედ, მოხდება.

⁂ ტფილისის მაზრის სამხედრო საკრებულო, რომელიც სოფლად იყო წასული ცხენების აღსაწერად, უკვე დაბრუნდა ტფილისში.

⁂ ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადობის საქალებო სკოლას მოუვიდა ტფილისიდგან ბ-ნ იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილისაგან უხვი ძღვენი: დედა-ენა, ოცდაათი ცალი, რუსული სიტყვა, ნ. I, ოცი ცალი, იგივე, ნაწ. II, ოცი ცალი და სამასი რვეული, სულ 50 მანეთის ღირებულობისა, თუ აქ გამოგზავნის ხარჯსაც ვიანგარიშებთ. შარშან ბ-ნმა გოგებაშვილმა ამავე სკოლას უძღვნა ოცდაათი ცალი ბუნების-კარი ყდით და წელსაც არ დაივიწყა ჩვენი ღარიბი სკოლა.

⁂ ხშირად ყოფილა შენიშნული, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურების იმ დარბაზებში, სადაც მგზავრები უცდიან ხოლმე მატარებლებს, რკინის გზის მოხელენი შედიან, ადგილს იჭერენ და მგზავრებს ავიწროვებენ. ამის შესახებ წინად სავალდებულო წესი ყოფილა გამოცემული რკინის გზის სამმართველოს მიერ; მაგრამ, რადგანაც მაგალითები მომხდარა ამ წესის დარღვევისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ამ დღეებში ახლად გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც აფრთხილებს რკინის გზის სადგურების უფროსებს, აღნიშნული გარემოება გამეორებული არ იქმნეს და თუ ვინმე დაარღვევს ამ წესს, პასუხის გებაში იქმნეს მიცემული.

⁂ პუშკინის სახელობის ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლის გამგედ სათანადო მთავრობას კუკიის ქალაქის სკოლის უმცროსი მასწავლებელი ქ-ნი ბარბარე კაპანაკოვისა დაუმტკიცებია.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება-რთვითა და რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგეობის მეთაურობით ტფილისში უკვე დაიწყო კრებები კავკასიის მეურნეთა და მებაღეთა სხვა-და-სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმეების განსახილველადა და გარდასაწყვეტად. პირველი სხდომა ტფილისის ვაჟთა პირველ გემნაზიის სადგომში მოხდა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ სულთანკრიმ-გირეის თავმჯდომარეობით. რომ უფრო გაადვილებულ იქმნეს კრებებზედ მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ მოხსენებათა განხილვა, ამ სხდომაზედ შემუშავებულ იქმნა განსაკუთრებული წესი, რომლითაც კრებები განაწილებულ უნდა იქმნეს 8 სექციად: 1 სექცია განიხილავს მოხსენებათ მებაღეობის შესახებ, მე-2—მევენახეობა-მძღვინეობის შესახებ, მე-3—მეტყეობისა, მე-4—მეფუტკრეობისა, მე-5—მეაბრეშუმეობისა, მე-6—მცენარეულობისა, მე7—მეურნეობის შესახებ სწავლის გავრცელებისა და მე-8—მიწის ნიადაგის დამზადება-შემუშავების შესახებ. მეურნეთა და მემამულეთა კრებების გაგრძელება დაიწყო გუშინ საღამოს საბრეშუმო სადგურის დარბაზში. კრებები 25 სექტემბრამდე გასტანს.

⁂ 12 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1 განყოფილებაში შემდეგი საქმეებია დანიშნული გასარჩევად: ბეგიჯანოვისა, რომელსაც 180 მუხ. სასჯელთა დებულების ძალით დანაშაულობა ჰბრალდება; ანტონ ბახუტოვისა, რომელსაც სასჯ. დებ. 997 მუხ. აღნიშნული დანაშაულობა ჰბრალდება, გიორგი გეტოსაშვილისა და არტემა ჯავახოვისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

⁂ 8 სექტემბერს, დილის შვიდ საათზედ, „კალიუჩი ბალკაში“ „პარალელის“ ქუჩაზედ № 5 სახლში უცბად გარდაიცვალა ევდოკია დეგენოვა. მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ პოლიციის მე-2 ნაწილში, მეორე პარალელურ ქუჩაზედ, ტროფიმოვის სახლში, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს თავ. ვ. მ. ციციშვილის ბინიდგან ქალის ორი პალტო, 150 მან. ღირებული. ქურდობაში ეჭვი არავისზედა აქვთ. ქურდობის აღმოსაჩენად საჭირო ზომები იქმნა მიღებული.

კავკასიის გამოფენა.

9 სექტემბერს კავკასიის გამოფენის დასათვალიერებლად 15,000 ამდე-კაცი მისულა.

„კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საიუბილეო კრება, როგორც შევიტყეთ, სექტემბრის 30 რიცხვს თურმე მოხდება საზოგადოების სადგომში, რომელსაც ამ ჟამად ასუფთავებენ და აწყობენ. ამ საგანგებო კრებისათვის საზოგადოების დარბაზი განსაკუთრებულად თურმე იქმნება მოწყობილი და გაჩირაღდნებული. სხვათა შორის, საიუბილეო კრებაზედ განხილულ იქმნება მოხსენება საზოგადოდ კავკასიაში პრესის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე მის მიუცილებელ საჭიროებაზე. საგნის გამორკვევის შემდეგ ამ საკითხს საზოგადოება შესაფერს მიმართულებას მისცემს, რომ ადგილობრივის მწერლობის აწინდელი მდგომარეობა გაუმჯობესებული იქმნეს.

დაბა და სოფელი

ს. ახალსოფელი (ტფილისის მაზრა). არც წრევანდელმა წელიწადმა გახარა ახალსოფლელები: ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა, რომელსაც პურისა და ღვინის მოსავალი შეადგენს და რომელმაც უნდა გადიხადოს ყოველ გვარი ხარჯი და გაისტუმროს მოვალეები —თითქმის მოგვესპო. პურის მოსავალი ახალ სოფელში ისე გააფუჭა წრეულ თავგმა, რომ ბევრს მეოჯახეს ნამოქმედარზედ ხელი მთლად აალებინა. რაც შეეხება კიდევ ღვინის მოსავალს, ამაზედ ხომ ახალსოფლელები აღარც-კი ლაპარაკობენ, რადგანაც იმედი სულ მთლად დაკარგეს. მაგრამ მოუსავლობას ვინ იჩივლებდა, რომ სხვა უარესი ჭირი არ დასტეხოდათ თავზედ. ეს გახლავთ აშკარა ავაზაკობა და საქონლის მოტაცება, რომელიც ისედაც დაზარალებულ საწყალს ხალხს მოსვენებას არ აძლევს.

ცხრა მარიამობისთვეს, ღამის 11 საათზედ, ყაჩაღები თავს დასხმოდნენ ღამის მეხრეებს სამგორში, სადაც გუთნის ხარ-კამეჩს აძოვებდნენ, თერთმეტი სული საქონელი წაერთოთ და არხეინად წასულიყვნენ. მეხრეებს წინაღმდეგობა ვერ გაეწიათ, რადგანაც მოპირდაპირენი კარგად ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი. მეორე დღეს ადგილობრივს ბოქაულს შეატყობინეს და თვითონ ახალსოფლელებმაც კაცები გაჰგზავნეს საძებნელად, მაგრამ-ამაოდ!.. ავაზაკობამ შარშანდელი თოვლივით ჩაიარა. ამ უბედურებამ აქაურები ძალიან დააღონა, მაგრამ ამას კიდევ სხვა უბედურება მიემატა.

ოცდა შვიდს მარიამობისთვეს, საღამოს 5 საათზედ, სოფლიდგან ¾ ვერსის სიშორეზედ, მაღლა სერზედ სამი ცხენოსანი გამოჩნდა, რომლებმაც სოფელს დაუწყეს თვალიერება. ხალხმა სოფლიდგან, მართალია, შენიშნა, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლიათ, თუ ავაზაკები იქნებოდნენ და დღე სოფელთან ახლო საავაზაკოდ მოვიდოდნენ. ამისა გამო ყურადღება არავინ მიაქცია. არ გასულა ამის შემდეგ ნახევარ საათი, რომ პატარა ბიჭებმა სერიდგან ყვირილი მორთეს: „ყაჩაღებმა ხარი წაასხეს, არიქათ, ჩქარა გვიშველეთო!“ ამ ამბავმა ხალხი საშინლად ააშფოთა, თავზარი დასცა: ასტყდა სოფელში წივილ კივილი, ვაი-ვაგლახი, კაცს ეგონებოდა მეორეთ მოსვლააო. ერთს მხარეს საწყალს, მუშაობისგან დაქანცულს, გლეხ-კაცობას დაინახავდით, რომლის მომეტებული ნაწილიც მარტო პერანგის ამარა ჯოხითა ან ორთითით *) მისდევდა მტერს უკან, ვითომ მოტაცებული საქონელი წაერთმია, მეორე მხარეს კიდევ დედაკაცები გამწარებულნი ხმა-მაღლა მოსთქვამდნენ: „გვიშველეთ, დავიღუპეთო!“

მეც, ამ არეულობის მნახველმა, ვეღარ მოვითმინე და გადავსწყვიტე წავსულიყავი და, თუ საქმით ვერას ვუშველიდი, სიტყვით მაინც შენუგეშებისა ჩემი მემამულენი. მერე კიდევ ვიფიქრე, ჩავალ „ვაზიანში“ და ჩაფრებს ანუ დარაჯებს შევატყობინებ, უიარაღო საწყალი ხალხის საშველად წამოსულიყვნენ.

შევჯექ ცხენზედ და ხალხს გამოვეკიდე, რომელიც აქა-იქ პატარ-ატარა ჯგუფებათ მიიკლაკნებოდა სამგორის ველზედ ვაზიანისაკენ. გზაში კაცებს გამოვკითხე, თუ როგორ მოიტაცეს და ვის მოსტაცეს საქონელი. როგორც გადმომცეს, სამი ყაჩაღი, თოფ-იარაღში მსხდომი, ახალსოფლის მეხრეებთან მისულა და საქონელი უკითხნიათ და, რადგანაც ჩვენებური საქონელი კარგა მოშორებით ყოფილა და ნახირიც სოფელთან ახლოს სძოვდა, იმათთვის ხმა არ გაუკიათ და მარტყოფლებთან მისულან, რომლებიც ორი ურმით მოსულიყვნენ და ქვას თურმე აგროვებდნენ; ამათთვის წაურთმევიათ: ოთხ ულელა კამეჩი, ყვავარი ხარი და ერთი ცხენი, თვითონ პატრონებიც წინ გაურეკნიათ და წასულან. მალე წინაპირს ხალხსაც დავეწიე, სადაც თვითონ მამასახლისი ს. წივილაშვილი იმყოფებოდა, ბერდანის თოფით შეიარაღებული (ეს ერთი კაცი იყო, რომელსაც თოფი ჰქონდა და ერთი კიდევ სხვა, რომელსაც რევოლვერი ჰქონდა) და ½ ვერსის სიშორეზედ მტერს მისდევდა. ამ დროს რევოლვერის ხმა მოგვესმა, რომელსაც ყაჩაღების ორმა ბერდანკამ მისცეს პასუხი, ჩვენმა მამასახლისმაც თოფი დასცალა. როგორც შემდეგ შევიტყეთ, ამას, ცოტა არ იყოს, ეშველა დაზარალებულთათვის. ბერდანის ხმას ყაჩაღებში დიდი ალიაქოთი მოეხდინა და ოთხი კამეჩი და ამათი პატრონებიც ერთი მოხუცებული კაცი და მეორე მისი შვილი, ცხრე ათის წლისა დაეყარათ. თელავისა და სიღნაღის გზა-ტკეცილზედ გავიყარენით: მამასახლისი ხალხით მტერს გამოეკიდა, მე ერთის ცხენოსანით ვაზიანს წაველი, სადაც ერთი მარტყოფელი დაზარალებულთაგანი კიდევაც ჩასულიყო და „სტრაჟნიკების“ უფროსს სთხოვდა ეშველა მათთვის. ამ ხევწნაში იყო საწყალი კაცი, რომ მეც ჩაველი და თხოვნა გავუმეორე. როგორც იყო ბოლოს ცხენები შეკაზმეს და წავედით. მე წინადადება მიეცი, რომ ყარაიაზის მინდვრისაკენ წავსულიყავით და მტრისათვის, წინ გვეყელა, მაგრამ გზის უცოდინარობისა გამო უარი სთქვეს და შინაც დააპირეს წასვლა. რადგანაც არც მე ვიცოდი გზა, ისევ ხალხისაკენ წავიყვანე და მალე იმ ხალხის ჯგუფს შევუერთდით, რომელიც დაყრევინებულს კამეჩებს გარს შემოჰხვევოდა და პატარა მტირალ ბალღისა და მოხუცებული კაცის ლაპარაკს ყურს უგდებდა. ბალღმა სთქვა: „თქვენი თოფი რომ არ გავარდნილიყო, არც კამეჩებსა და არც ჩვენ არ დაგვტოვებდნენო“, „სტრაჟნიკები“ მტერს გამოვუყენეთ და დანარჩენნი უკან დაბრუნდნენ, რადგანაც, ორი სამი კაცის გარდა, ქვეითად იყვნენ. მაგრამ პოვნით ვეღარა იპოვნეს-რა...

გიორგი ინაშვილი.

ს. ქვემო-მაჩხაანი. ოცი ურემი ფქვილი და ხორბალი მოვიდა აქ ტფილისიდამ, ბ-ნის ტ. ი. ჯამასპიშვილისაგან გამოგზავნილი, და დავეხწვევნით თერამეტნაირად მონათლულს, ჯანის მაზნევარს, მწარე-ბალღამივით ფქვილებს. როგორც ამას წინათ სიღნაღის მაზრის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, ქიზიყი სასოფლო-სამეურნეო თანხის ფულით ნასყიდს ფქვილსა და სათესლე პურს მოელის, რომელიც მცირე მოგებით გაიყიდება. ქიზიყმა უბრალო რთველიც ჩაიკლა და გულხელ-დაკრეფილი შეჰყურებს თავისს დამღუპველს ცასა: აცა, როდის გვეღირსება ცის ნამი, რომ ყვითლად გადახრუკული მთა-ველმინდორი მოლბეს და გუთნის საქონლისათვის მწვანედ მობუსუსდესო. მოულბობლად-კი საარაკო გვალვისაგან გაგოხებულს ნამჯიანსა და ნაფეტვარს გუთანი არ მიუდგება და გარკინავებულს კაჟახუნს ხომ ელიბოს ზარბაზანიც ვერას მოჰფხვნის.

მოამბე.

მცირე შენიშვნა.

წავიკითხეთ გაზ. „ცნობის ფურცლის“ 4 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ბ-ნის რიონელის წერილი გამოფენის შესახებ. ჩვენ აქ შევეხებით წერილის მარტო იმ ნაწილს, რომელშიაც მუსიკის შესახებ არის ლაპარაკი. სასურველია ვიცოდეთ, რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს გამოფენაზედ ქართულს ეროვნულს მუსიკას: მოსულს სტუმრებს უნდა გავაცნოთ ჩვენი ეროვნული მოტივები, თუ მარტო დამსწრეთა გართობა და დროს გატარება უნდა ჰქონდეს მიზნად? თუ პირველს ვიქონიებთ სახეში, გარემოება არ ეთანხმება მიზანს. ამისთვის საჭირო იყო ან ცალკე ქართული კონცერტები გაემართათ, ან კიდევ მეტი ადგილი ჰქონდეს ამ განყოფილებას დათმობილი. ამ შემთხვევაში შესაძლო იქნებოდა მსმენელს რაიმე შეხედულება შეედგინა ქართულს ეროვნულს მუსიკაზე, თორემ იმ გარემოებაში, რომელშიაც ახლა ვისმენთ ქართულს სიმღერებს, ვერაფერს სახელს გამოიტანენ. თუ მარტო გართობა იყო მიზანი, მაშინ კიდევ შეიძლება როგორმე დავთანხმდეთ: რადგანაც გარემოება ცოტა სხვა სახეს აძლევს ქართულს სიმღერებს ამ სცენაზედ.

საზოგადოდ მუსიკალური განყოფილებანი გამოფენის თეატრში მომართულია დილეტანტურად და ქართულს სიმღერებს თან მოსდევს ისეთი ზნეობის გამათახსირებელი განყოფილებანი, როგორიც, მაგალითად, ისპანური, ფრანგული და სხვა ტრუპების სცენებია.

ქართული სიმღერები გამოფენაზედ უცვლელად და გაულამაზებლად იყო შესრულებული და სასურველია ესევე განაგრძონ შემდეგშიაც. რაც შეეხება სომხურს სიმღერებს, ჩვენ არ ვეთანხმებით ბ-ნის რიონელის აზრს, რადგანაც ბ-ნის ყარამურზას ლოტბარობით შესრულებული სომხური სიმღერები მოგვაგონებდნენ უგვანო ევროპიულს მოტივებს სომხურს სიტყვებზედ შეთხზულსა და, ძალიან ბევრიც რომ ვიკვლიოთ, სამწუხაროდ, შიგ სომხური ეროვნული არა მოიპოვება-რა. ამ სიმღერების შესრულება სასურველი იყო უკეთესად ყოფილიყო მოწყობილი.

დ. არაყაშვილი

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო გრ. აბაშიძის თხზულებანი, პირველი ნაწილი, „ქუთაისის ამხანაგობის“ მიერ გამოცემული. ამ წიგნში მოთავსებულია ლექსები და პოემები. ავტორი თავის თხზულებათა მეორე ნაწილსაცა გვპირდება. წიგნი კარგა მოზრდილია, შეიცავს 366 გვერდს და შედარებით იაფადა ჰღირს—60 კაპეიკად. თავში წიგნს ავტორის სურათი აქვს დართული.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

7 სექტემბერი.

პეტერბურგი. დუნკირხენში 5 სექტემბერს საუზმეზე საფრანგეთის პრეზიდენტმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „თქვენო უდიდებულესობავ, საფრანგეთის სახელით, იმ საფრანგეთისა, რომელმაც, გაიგო-რა პირველად თქვენი განძრახვა მობრძანებისა, განუსაზღვრელი სიამოვნება გამოაცხადა, გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ გულითადი სალამი. მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე-იმპერატრიცის მობძანება აქაურობას სდებს ფრიად მომხიბლავ ელფერს. საფრანგეთის რესპუბლიკა რწმუნდება, რომ თქვენ დაგრჩენიათ კეთილი შთაბეჭდილება პირველად თქვენის აქ ყოფნის დროიდგან. მთელი საფრანგეთი ამასა გრძნობს უფრო იმიტომ, რომ თქვენი უდიდებულესობის ახლანდელი მობრძანება შეეხება საფრანგეთის ჯარსა და ფლოტს, რომლებიც შეადგენენ საზრუნავ საგანს. საფრანგეთი ჰგრძნობს, რომ იმათი მფარველობის ქვეშ შეიძლება უშიშრად და ღირსეულად განაგრძოს ნაყოფიერი შრომა და მუშაობა. ჩვენი ზღვაოსანთა მოსასალმებელი „ვაშა“, რომელიც ისმოდა საფრანგეთის გემების წინ თქვენი უდიდებულესობის გამოვლის დროს, იგივეა, რითაც ეგებება მთელი საფრანგეთი დიდებულის ერის საყვარელ მეფესა და დედოფალს, იმ ერისა, რომელიც ჩვენთან ერთად შეკავშირებულია ურთიერთის სიმპატიით, საერთო ინტერესებით და შეთანხმებულია პოლიტიკით. ხელმწიფევ, საფრანგეთის ფლოტი დიდი მადლობელია თქვენი უდიდებულესობის მისდამი ყურადღებით და მე, იმის გრძნობათა გამომთქმელი, ვსვამ თქვენის უდიდებულესობის სადღეგრძელოს, სადღეგრძელოს ხელმწიფე იმპერატრიცისას, საიმპერატორო საგვარეულოსას და ვისურვებ წარმატებას რუსეთის მამაც ფლოტისას, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ფლოტთან ერთად ძმურად მოქმედებდა შორეულ აღმოსავლეთის ზღვებში“.

ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი უპასუხა: „იმპერატრიცა და მე განსაკუთრებულის სიამოვნებით დავბრუნდით საფრანგეთში, მეგობარ და მოკავშირე ერის შორის, და დიდად აგვაღელვა ასეთმა გულითადმა დახვედრამ. დიდის სიამოვნებით ვტკბებოდი ჩრდილოეთის დიდ ესკადრის ხილვით და გულწრფელად გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, იმ გამაოცებელ სანახავებისთვის, რომელიც დამახვედრეთ მე საფრანგეთის ზღვებში. ვსვამ სადღეგრძელოს და ვუსურვებ წარმატებას საფრანგეთის ფლოტს, რომელიც, როგორც თქვენა სთქვით, შორეულ ზღვებში ჩემ ფლოტთან ერთად ძმურად იყო. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო პრეზიტენტო, და მთელის საფრანგეთისას“.

დეპეშა „პრავიტელსტვ. ვესტნიკ“-ისა: „დიუნკირხენი. დიუნკირხენის ბაზრის ვაჭარმა ქალებმა მოისურვეს ძველადანვე დარჩენილ ჩვეულებისამებრ მიერთმიათ მისი უდიდებულესობისათვის ვერცხლის თევზი. როდესაც ხელმწიფე იმპერატრიცა შედიოდა სავაჭრო დარბაზში, ვაჭარმა ქალებმა მიართვეს იმპერატრიცას ხავერდის ბალიშით მშვენიერი ვერცხლის თევზი ოქროში დაფერილი. ხელმწიფე იმპერატრიცამ მადლობა გადაუხადა“.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა აღკრძალა ერთის თვით „პეტერბურგის ლისტოკის“ ნომრების გაყიდვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელახლა ნება დართო გაზ. „ნოვოსტის“ ცალკე ნომრების გაყიდვისა.

რეიმსი. მათი უდიდებულესობანი და ლუბე მიიღეს ქალაქის გამგეობის საპარადო დარბაზში ქალაქის თავმა, საბჭოს წევრებმა, სენატორებმა, დეპუტატებმა, პრეფექტებმა და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმა. მოედანზე აღლუმიდან დაბრუნებულმა ჯარმა სამხედრო სალამი მისცა, ორკესტრებმა დაუკრეს რუსეთისა და საფრანგეთის საერო ჰიმნი; ფანჯრები სავსე იყო მაყურებლებით. ქალაქის თავმა, წარუდგინა რა მათ უდიდებულესობათ საბჭოს წევრნი, მცხოვრებთა სახელით ისურვა კეთილდღეობა რუსეთისა და დაუმატა, რომ რეიმსის მცხოვრებნი უცხადებენ მადლობას მოთავეს გაგის კომფერენციისას, რომელიც საფუძველია საერთო მშვიდობიანობისა. შემდეგ ქალაქის თავმა უჩვენა დიდებულ სტუმართ უფრო საყურადღებო ნივთები რეიმსის წიგნთ-საცავისა და ამათში სლავიანურად ორ წიგნად დაწერილი სახარებაც, რომელიც შეუწირავს ლორენის კარდინალს. პირველი წიგნი მე-XI საუკუნისაა, მეორე კი მეთოთხმეტესი. შემდეგ ქალაქის თავმა სთხოვა მიერთვათ შამპანიის ღვინო და ნამცხვარი, რომლებიც შეადგენენ საუკეთესო ნაყოფს რეიმსის მრეწველობისას. მათ უდიდებულესობათ აასრულეს თხოვნა; ამის შემდეგ დაათვალიერეს სობორო და ვიტრის სიმაგრეები. აღლუმზე რუსეთის იმპერატორს გაუკვირდა არტილერიის სწრაფი მოძრაობა და პოზიციაზედ სწრაფად ზარბაზნების დადგმა. იმპერატორის თხოვნით მოატანინეს სახელოსნოში

---

*) რამდენისამე წლის წინად სოფელში მთავრობისაგან გამოგზავნილი იყო რამდენიმე ბერდანის თოფი, რომ ამისთანა შემთხვევაში გამოეყენებინათ, მაგრამ მთავრობამ, საუბედუროდ, მალე ჩამოართო და საკუთარი თოფის ნებაც არ მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად გაკეთებული ზარბაზანი № 75. დიდ ხანს ისმენდა იმპერატორი ზარბაზნის მოწყობილობის დაწვრილებით ახსნას. იმპერატორის მრავალ კითხვებზე დაწვრილებით და გარკვევით პასუხს აძლევდა არტილერიის პორუჩიკი და ამასთან ზარბაზნის ცალკე ნაწილებს უჩვენებდა და უხსნიდა იმათს დანიშნულებას. იმპერატორის თხოვნით ერთხელ დასცალეს ზარბაზანი. მათი უდიდებულესობანი და ლუბე ხალხმა ალტაცებით გააცილა.

ვიტრი-ლე-ფორი. 11 საათზე ფრენუაში მოვიდნენ მიპერატრიცა და ლუბე, რომელთაც გზაში იმპერატორი მოეწია. მათი უდიდებულესობანი და ლუბე დაესწრებიან ალლუმის გათავებას, რომელსაც უყურებენ სიმაგრის მაღლობზე გამართულ კარავიდგან. ალლიუმის დასამთავრებელი იერიში მიიტანეს. სურათი, რომელიც მეფის წინ არის გაშლილი, მშვენიერია და განსაცვიფრებული, მაგრამ იერიშის მიმტანნი უკუ გდებულ იქმნენ. იმპერატრიცა და ლუბე ჩასხდნენ ეტლში და თავიანთ ამალით პირველ საათზე მივიდნენ ვიტრის სიმაგრემდე, სადაც მიირთვეს საუზმე. იმპერატრიცა დაბრძანდა საპატიო ადგილზე, მარჯვენივ იჯდა იმპერატორი და დელკასსე, ხოლო მარცხნივ ლუბე და გრაფი ლამზდორფი; ვალდეკ-რუსსო იმპერატრიცის პირდაპირ ზის.

ვიტრი-ლე-რეიმსი. კორტეჟი გამალებული მიდიოდა ბურგუნდიის გზით. გზაზედ სხვა-და-სხვა რაზმი ჰხვდებოდა. გენერალი ბრიუჟერი თავის შტაბით მიეგება რუსეთის იმპერატორს, დედოფალს და ლუბეს. იმპერატორმა ბრიუჟერს რამდენიმე სიტყვა უთხრა, ეტლიდან გადმოვიდა და მშვენიერ ცხენზე შეჯდა. ამისთანა ცხენი ოთხი მოიყვანეს რუსეთიდგან. სამხედრო მინისტრი, იმპერატორისა და ლუბეს ამალის ოფიცრები ცხენებზე შესხდნენ. იმპერატორი კორტეჟს მოშორდა და მოწინავე სადარაჯო რაზმებისაკენ წავიდა. ისე ჩქარა მიჰყავდა ცხენი, რომ ამალა ძლივს მისდევდა. გზაში მრავალი ხალხი იდგა და ალტაცებით იძახოდა: „გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს დედოფალს!“ იმპერატორმა ჯარის წინ გაიარა და ალტაცებაში მოვიდა ჯარებისაგან.

ლონდონი. ახალი ნაღმიანი გემი „კობრა“ იარმუტს ახლო ზღვაში დაიძირა. ჰფიქრობენ, წყალქვეშ კლდეს დაეჯახებოდაო. ამ გემზე 60 კაცი მსახურებდა. 12 კაცი გადაარჩინეს, ექვსისა გვამი იპოვნეს.

პეტერბურგი. 6 სექტემბერს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად კომპიენიდგან ალლუმზე დასასწრებლად წავიდნენ. როცა რეიმსს ახლო ალლუმი გათავდა, ვიტრის შენობაში საუზმე გამართეს. საუზმის დროს ლუბემ სთქვა: „ხელმწიფევ, ბედნიერი ვარ მით, რომ წილად მხვდა თქვენს უდიდებულესობას ჯარის სალამი და მადლობა გადმოვსცე. ჯარი ამაყობს და მადლობას გიხდით იმაზე, რომ ასეთის ყურადღებით მოექეცით. საფრანგეთი და საფრანგეთის წარმომადგენლები ყოველთვის გულმოდგინეთ ცდილობენ ჯარის განვითარებას ხელი შეუწყონ, ჯარიც თავისს მხრივ სულით და გულით მოწადინებულია საფრანგეთის საქმისათვის ყოველ წამს მზად იყოს. თქვენი უდიდებულესობის დასწრება ამ ალლუმზე ჯარისათვის დიდი ჯილდოა და ამავე დროს ძრიელაც ამხნევებს ჯარს. უფროსებს ესმით ეს, ჯარებიც გრძნობენ და მეც სიხარულით გარდმოგცემთ მათ გრძნობას. ვსვამ თქვენი უდიდებულესობისა, დედოფლისა და რუსეთის ჯარის სადღეგრძელოს“. ამაზე ხელმწიფე იმპერატორმა უპასუხა: „ალლუმზე ჩემი თვალით ვნახე და დავრწმუნდი, რომ საფრანგეთს მართლაც და ბრწყინვალე ჯარი ჰყოლია. ჩვენ მეგობარს საფრანგეთს ნამდვილად შეუძლიან ამისთანა მშვენიერის ჯარით იამაყოს. ვსვამ საფრანგეთის მამაცის ჯარის სადღეგრძელოს, ვუსურვებ წარმატებასა და დიდებას, მსურს, რომ ეს ჯარი წესიერებისა და სამართლიანობის დამცველი იყვეს. მშვიდობიანობა და ერის კეთილ-დღეობა ამ წესიერებაზეა დამყარებული“.

კანტონი (შტატი ოჰაიო). 6 სექტემბერს განსვენებული პრეზიდენტი მაკ-კინლეი დიდებულად დაასაფლავეს. მაკ-კინლეის სახლში პანაშვიდი გადაიხადეს, შემდეგ მიცვალებულის გვამი მეტოდისტების ეკკლესიაში გაასვენეს. მაკ-კინლეი ყოველთვის ამ ეკკლესიაში ეზიარებოდა ხოლმე. კუბოს მისდევდნენ პრეზიდენტი რუზველტი, მინისტრები, დეპუტატები, სხვა-და-სხვა საზოგადოების წევრნი, გენერლები და ადმირალები.

გონკონგი. კვანტუნგისა, კიანსისა და კვანგოის ვიცე-კოროლებმა თხოვნით მიჰმართეს იმპერატორს სიანფუში. ამ თხოვნაში ამბობენ: ვიცე-კოროლები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ უცხოელების მტერმა, კონსერვატორთა დასმა, მმართველობა ხელში ჩაიგდოო. ამ პროტესტს რომ მეტი მნიშვნელობა მისცემოდა, ორივე მეფის მოადგილემ გამოაცხადეს, სამსახურს თავს ვანებებთო.

დიუნკირხენი. ხომალდი „მასენ ბარს“-ის ოფიცრებმა რუსის ოფიცრები მიიღეს თავიანთ ხომალდზე და შამპანიური მიართვეს. გემი შესაფერისად იყო მორთული. როცა რუსის ოფიცრებმა გემი დაათვალიერეს, „მასსენას“ უფროსმა ოფიცერმა სიტყვა წარმოსთქვა; უფროსმა გაიხსენია ის უწინდებური ბრძოლები, სადაც ფრანგებმა და რუსებმა ერთმანეთი გაიცნეს და დააფასეს. უფროსმა დასარულ რუსეთის იმპერატორის და დედოფლის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ამის პასუხზედ ერთმა რუსის ლეიტენანტმა ლუბესი, საფრანგეთისა და მისი ფლოტის სადღეგრძელო წარმოსთქვა. „მასსენას“ ორკესტრმა რუსეთის ჰიმნი შეასრულა.

ფრედენსბურგი. ინგლისის მეფე-დედოფალი, დანიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ქრისტიანი თავის მეუღლით და პრინცი ჰანს გლიუკსბურგი დილის 11 საათზე ჰელსინბორგში წავიდნენ შვეციის მეფის სანახავად.

კომპიენი. დღეს, დილით ადრე, სასახლის წინ დიდძალი ხალხი შეგროვდა. ხალხი იძახოდა: „გაუმარჯოს რუსეთის მეფე-დედოფალს, გაუმარჯოს რუსეთს!“—დღეს დილით სასახლეში საფრანგეთის ელჩის მარკიზ მონტებელლოს (პეტერბურგშია ელჩად) შვილის-შვილი (ქალი) მონათლეს. ქალის ნათლიებად რუსეთის იმპერატორი და დედოფალი იყვნენ. დღეს მათ უდიდებულესობათ ეტლით კომპიენის მიდამოებში ძველებური ციხე-დარბაზი დაათვალიერეს. საღამოთი კომპიენის სასახლეში სადილი გამართეს. შემდეგ დიდი დარბაზობა დაიწყო.

8 სექტემბერი.

პეტერბურგი. გამოცხადდა, რომ ქალაქი კონსტანტინეპოლი შავის პირის მხრით საშიშრად არის აღიარებული.

პეკინი. უმთავრეს შტაბის ექიმი ორის ინჟენერითა და მცირედის სამხედრო ცხენოსანის ჯარით სამეცნიერო აზრით გაემგზავრა პაოტინფუსაკენ. ამ მოგზაურობის საგანი ჯერ საიდუმლოა; ამბობენ, მოგზაურები პაოტინფუდან გადავლენ შენსისა და იუნანზე და თუ მოახერხეს, ტიბეთს გაივლიან და ინდოეთში მივლენ.

კომპიენი. რეიმსიდან კომპიენში ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფლის დაბრუნება ისეთ დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა, რომ არ შეიძლება იქ დამწრე მილიონ ხალხის გულში სამუდამოდ არ აღიბეჭდოს. რეიმსის ყველა მცხოვრები დიდის გულმოგინებით ცდილობდა თავისი სახლები კარგათ შეემკო, ასე რომ მთელი ქალაქი თითქოს ყვავილებით, ბაირაღებით და საიმპერატორო ინიციალებით შემკობილ კედლებს წარმოადგენდა; სატრიუმფო კარები ქუჩის ერთი პირიდან მეორეზე იყო გადატანილი და საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა. ექვსი საათი იყო როცა მათ უდიდებულესობათ კომპიენს მიმავალ მატარებელში ადგილი დაიჭირეს. 180 კილომეტრის მანძილზე გზის ორსავე მხარეს აურარებელი ხალხი იდგა და როცა ამათ შუა მატარებელი მიდიოდა, ხალხი ალტაცების ხმით ეგებებოდა: „გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს დედოფალს, გაუმარჯოს რუსეთს!“ ესენი სოფლელები იყვნენ, რომელნიც აქ მოსულიყვნენ. გუშინდელმა დღემ საუცხოვოდ დაამტკიცა, რომ საფრანგეთის ხალხი ალტაცებულის გრძნობითა და სიმტკიცით მოტრფიალეა რუსეთისა. მათ უდიდებულესობათა მიღების შესახებ გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ მათი უდიდებულესობანი დარწმუნდებიან, თუ 1895 წლიდან მთავრობის წარმომადგენელი გამოიცვალნენ, მთელი ქალაქის გული და გრძნობა შეურყეველი დარჩა ძველი აღგზნებული და ღრმა სიმპატიითა მეგობარ და მოკავშირე ხალხის, მეფისა და დედოფლისადმი.

ლონდონი. ინგლისელებს ტარკისტალასთან ბრძოლის დროს უფრო დიდი ზარალი მოსვლიათ, ვიდრე წინად იუწყებოდნენ. ბურებმა, აფიცრებს გარდა, ინგლისელებს 30 ულანი მოუკლეს და 38 დაუჭრეს.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან: „სამეფო ცხენოსან არტილერიის ორი ზარბაზანი სხვაგან გაგზავნეს, თან ერთი როტა ცხენოსანი ჯარი გააყოლეს. ფლაკფონტეინს ახლო ბურები გარს შემოჰხვეოდნენ და ზარბაზნები ხელში ჩაეგდოთ. ერთი პორუჩიკი მოეკლათ. ინგლისელებმა ბურების სადევნელად ჯარი გაჰგზავნეს“.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ის დეპეშა: კომპიენი. კომპიენის სასახლეში მათის უდიდებულესობის პატივისაცემლად სადღესასწაულო სადილი გამართეს. შემდეგ სასახლის თეტრში წარმოდგენა გაიმართა.

ბეტენი. ოფიციალური კორტეჟი 10 საათზე მოვიდა იმ მინდორზე, სადაც ჯარი დგას. რუსეთის იმპერატორი და სამხედრო მინისტრი ანდრე ცხენებზე ისხდნენ. დედოფალმა ეტლით და ლუბემა და ვალდეკ-რუსსომ ცალკე ეტლით ჯარს წინ გაიარეს. ქ-ნი ლუბე და მინისტრები თავიანთი ცოლებით პირდაპირ ტრიბუნასკენ გაემართნენ. წინწყლავს.

ბეტენი. ჯარის დათვალიერებას 10 ს. 45 წ. შეუდგნენ. რუსეთის იმპერატორი და ლუბე ერთად ათვალიერებენ ჯარს. იმპერატორი და ლუბე საპატიო ტრიბუნაზე ავიდნენ. ამ დროს გენერალმა ანდრემ დედოფალს საფრანგეთის ჯარის ყველა გენერლების სახელით მიართვა მშვენიერი კალათი ძვირფასის იშვიათის ყვავილებით; დედოფალს მეტად მოეწონა ეს ძღვენი და დიდი მადლობა გადუხადა. ისმოდა ძახილი: „გაუმარჯოს რუსეთს, გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს ჯარს!“

კომპიენი. მშვენივრად მორთულ სადღესასწაულო დარბაზში 7 ს. სადილი გამართეს. მათი უდიდებულესობანი დარბაზის შუა ადგილას დასხდნენ. დედოფლის მარჯვნივ ლუბე დაჯდა, იმპერატორის მარცხნივ ისხდნენ ქ-ნი ლუბე, მინისტრები, პალატასა და სენატის პრეზიდენტები, გრაფი ლამსდორფი, მისი უდიდებულესობის და ლუბეს ამალა, დეპარტამენტის მოხელეები და გამოჩენილი მწერლები და მხატვრები. სიტყვა არავის წარმოუთქვამს.

კომპიენი. სადილს შემდეგ დამსწრენი წავიდნენ დარბაზში და ყავა მიირთვეს. მის უდიდებულესობას ლუბემ ბევრი გამოჩენილი მოღვაწე წარუდგინა. იმპერატორი ყველას მეტად თავაზიანად მოექცა და ელაპარაკა. ამის შემდეგ სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართა.

9 სექტემბერი

ბეტენი. ჯარები სწრაფად იკრიბებიან. 9 ს. 30 წ. ყველა რაზმები მინდორზე მოგროვდნენ. საპატიო ტრიბუნა თან-და-თან ხალხით ივსება. მოვიდნენ კაზიმირ პერიე, კარდინალი ლანჟენიე, კონსტანი, ჟიული, პოლ-კამბონი, სოსიე, ბილიო, ცურლინდენი, ფლორანტენი და სხვანი. 9 ს. 55 წ. იმპერატორის მატარებელი ფრენუას სადგურზედ მოვიდა. სამხედრო სალამის ნიშნად 101 ზარბაზანი დასცალეს. საპატიო ტრიბუნაზე იმპერატორის შტანდარტი გაშალეს.

კომპიენი. რუსეთის იმპერატორმა ვალდეკ-რუსსოს, დეშანელს და ფალიერს ალექსანდრე ნეველის ორდენები უბოძა, მინისტრებს-კი თეთრი არწივის ორდენები. ლუბემ იმპერატორს მშვენიერი ხალიჩა მიართვა, დედოფალს—სევრის ჭურჭელი.

კომპიენი. მათ უდიდებულესობათ ტყეში ისეირნეს, 4 ს. სასახლეში დაბრუნდნენ და ელჩი მონტებელლოს შვილი-შვილის ნათლობას დაესწრნენ; ნათლიად რუსეთის იმპერატორი იყო; შემდეგ ჩაი მიირთვეს.

კომპიენი. თეატრის დარბაზი მშვენივრად მორთეს. იმპერატორი და დედოფალი შუა ადგილას დასხდნენ; აქეთ-იქით ლუბე და ქ-ნი ლუბე მოუსხდნენ. დარბაზი მშვენიერი სანახავი იყო, ქალების ტანთმორთულობა და კაცების მუნდირი ელექტრონული სინათლისაგან ბრწყინავდნენ. იმპერატორისა და ლუბეს ამალის წევრებს ნაბოძები ორდენები ჰქონდათ გაკეთებული. წარმოდგენამ მეტად კარგად ჩაიარა; იმპერატორი და დედოფალი დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალს და რამდენჯერმე ტაშიც დაუკრეს. წარმოდგენის შემდეგ მათი უდიდებულესობანი თავიანთ ოთახებში წავიდნენ მოსასვენებლად.

რეიმსი. 8 სექტემბერს დილით, 8 ს. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი რკინის გზით ბეტენში წავიდნენ ალლუმზე დასასწრებლათ. მათთან ერთად წავიდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, სენატის და პალატის პრეზიდენტები, მინისტრები, გრაფი ლამზდორფი, თავადი ურუსოვი, გენერლები, ბარონი ფრედერიქსი და გენერალი სახაროვი. კარგი ამინდი იდგა. კამპიენის სასახლიდან სადგურამდე მათი უდიდებულესობის ეტლები სულ ჯარებ შუა მიდიოდნენ: ჯარები ალტაცებით სალამს აძლევდნენ. სახლის ფანჯრები და ბანები ხალხით იყო სავსე. ჰაერში „ვაშას“ ძახილი გაისმოდა. საიმპერატორო მატარებელს მთელ გზაზე მახლობელ სოფლებიდგან და ქალაქებიდგან მრავალი ხალხი ეგებებოდა. 10 საათი იყო, როდესაც მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ ბეტენში, სადაც აგებულია საკუთრივ ამ შემთხვევისათვის სამ-დარბაზიანი რკინის გზის სადგური. მინდორზე დადგმულია საიმპერატორო კარავი. ამ კარვის გარშემო გაკეთებულია ექვსი დიდი ტრიბუნა და ორიც ესტრადა მოწვეულთა და ხალხისათვის. დასხდნენ თუ არა მათი უდიდებულესობანი, დაიწყო ჯარის ვარჯიშობა. საფრანგეთის განსაცვიფრებელ ლაშქრის ლონე, ცოდნა და გაწვრთნა წარმოადგენდა დიადს სამხედრო სურათს, რომელმაც დამსწრეთ დაუვიწყარი შთაბეჭდილება ჩაუნერგა. 150,000 ჯარის კაცმა მწყობრად გაუარეს რუსეთის იმპერატორს. დამსწრენი ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს იმპერატორს, გაუმარჯოს ლაშქარს!“ ჯარის ვარჯიშობის შემდეგ მათი უდიდებუ-

ლესობანი, პრეზიდენტი, მინისტრები და გენერლები გადავიდნენ სხვა პავილიონში, სადაც გაშლილი იყო სასაუზმე 400 სულისთვის.

ბეტენი. ჯარის განცდაა. ჯარის მწყობრად გავლა ძალიან მოიწონეს. როდესაც დროშები გაატარეს, იმპერატორი, იმპერატრიცა და პრეზიდენტი ლუბე ფეხზე წამოდგნენ. ხალხი განუწყვეტლივ ტაშს უკრავდა; ცხენოსანმა ჯარმა ქუჩებით გაიარა.

ბეტენი. 1 საათზე გენერალმა ბრიუჟერმა აიქნია ხმალი და ესკადრონი ბრიუჟერის წინამძღოლობით გაექანა; ჩაჩქნები და ხმლები ლაპლაპებენ მზეზე. ასი მეტრის სიშორეზე ბრიუჟერმა ნიშანი მისცა და ამოდენა ცხენოსანი ერთბაშად შესდგა და განუძრევლად იდგა. მოისმა მძლავრი ტაშის-ცემა. ხალხი ჰყვირის: „გაუმარჯოს ლაშქარს, გაუმარჯოს მეფეს და დედოფალს, გაუმარჯოს ლუბეს, გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს საფრანგეთს!“ ამ დროს ბრიუჟერი წინ წამოდგა და დაჰხარა თავისი ხმალი. იმპერატორი და ლუბე ფეხზე ადგნენ და სალამი მისცეს. ამის შემდეგ ჩასხდნენ ეტლებში და წავიდნენ კარავში, სადაც გამართულია საუზმე. კარავში რომ მივიდნენ, მათი უდიდებულესობანი დროებით კერძო დარბაზში შევიდნენ; შემდეგ ამისა ლუბემ მათ უდიდებულესობათ წარუდგინა გენერლები. მერმე პრეზიდენტმა მისცა ხელი იმპერატრიცას, ხოლო იმპერატორმა—ქ-ნ ლუბეს და გაემართნენ სასადილო ოთახისაკენ.

ბეტენი. საუზმის დროს ლუბემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „მეფევ! საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით მოგიძღვნით თქვენ უდიდებულესობას და დედოფალს მადლობას იმისთვის, რომ კეთილ ინებეთ და საფრანგეთის გამამხნევებელ სანახაობას დაესწარით. ამასთანავე მაგონდება ის დიდებული საპოლიტიკო აქტი, რომელიც ამ დღეებში წინ მიუძღოდა და რომელმაც მნიშვნელობა მისცა დღევანდელ ამბავსა. საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი, რომელიც ღირსსახსოვარმა თქვენმა მშობელმა იმპერატორმა ალექსანდრე მე-III და პრეზიდენტმა კარნომ მოამზადეს და რომელიც თქვენმა უდიდებულესობამ და პრეზიდენტმა ფელიქს ფორმა საქვეყნოდ აღიარებს გემ „პოტიუო“-ზე, საკმაოდ დამტკიცდა და ნაყოფიც გამოიღო. არავის ეჭვი არ უნდა ჰქონდეს, რომ ამ კავშირის ძირეული საგანი მშვიდობიანობის დაცვაა და არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ ამ კავშირს თავის ძლიერებით ხელი არ შეეწყოს ევროპის სახელმწიფოთა შორის შეთანხმებისათვის; ეს მშვიდობიანობა უეჭველი უნდა ყოფილიყო, რომ ნაყოფი გამოეღო, ეს კავშირი დროთა განმავლობით განმტკიცდა და მუდამ ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ, ეპყრობოდა ყოველ საგანს და მის მოძრაობას იმ შემთხვევაში, როცა იგი შეეხებოდა საზოგადოსაქვეყნო ინტერესებს. ეს კავშირი არასოდეს ზომიერებას არ გადასცდენია, რადგანაც ძლევა-მოსილი იყო და მუდამ კაცთ-მოყვარეობის გრძნობითა და სიმართლით ხელმძღვანელობდა საქმეთა გადაწყვეტის დროს. „ახალი მსვლელობა“ და ამისაგან გამოცემული სიკეთე იმ სიკეთის მომასწავებელია, რომელსაც ეს კავშირი მომავალში გვიქადის. ამ გვარის განმტკიცებულის რწმენით მოწიწებით მოვიხსენიებ იმ კავშირის კეთილშობილ დამაარსებელთა სახელს, რომლის ცხადი დამამტკიცებელი საბუთი დღევანდელი დღეა და ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის დედოფლის და მთელის თქვენის სახლობის სადიდებლად და საკეთილდღეოდ; ვუსურვებ საფრანგეთის მეგობარ-მოკავშირე რუსეთს დიდებასა და წარმატებას.“ ორკესტრმა რუსეთის ჰიმნი აღასრულა.

პარიჟი. საღამოს 6 ს. და 45 წ. პარიჟში დაბრუნდნენ პრეზიდენტი ლუბე, ვალდეკ რუსსო და მინისტრები. ხალხი აღტაცებით მიეგება. ლუბე 7 საათზედ ელისეს სასახლეში მივიდა.

რეიმსი. 4 საათზე მათი უდიდებულესობანი ფრენუას სადგურიდან პახისაკენ გაემგზავრნენ, ლუბე, ქ-ნი ლუბე და მინისტრები პარიჟს დაბრუნდნენ. გამოთხოვება მეტად მეგობრული იყო.

რეიმსი. სანამ მატარებელში ჩაბრძანდებოდა, ხელმწიფე იმპერატორმა კიდევ რამდენიმე სიტყვა უთხრა ლუბეს, რომელმაც თავის დაკვრით უპასუხა. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი ორი წუთის განმავლობაში. აუარებელი ხალხი იყო ზღვის ნაპირას და დიდის აღტაცებით თვალს ადევნებდნენ ამ სურათს.

ბეტანი. ლუბემ წარმოსთქვა სადღეგრძელო განსაკუთრებულის ძალითა და მცირედის მღელვარებით, რომელმაც ყველა დამსწრენი მოიცვა. მაგრამ ერთი ორად იმატა მღელვარებამ მაშინ, როდესაც მისმა უდიდებულესობამ მისცა პასუხი მკაფიოდ და გასაგებად: „ბ-ნო პრეზიდენტო, ამ ჟამად, როდესაც საფრაგეთიდგან მივდივართ, სადაც ასე გულითა და სულით გაგვიმასპინძლდით კვალად, ვგრძნობ, რა დიადი მოთხოვნილება მაქვს გულწრფელი მადლობა გარდაგიხადოთ, რა ღრმად გაგვწვდება იგი სულსა და გულში. ჩვენ, იმპერატრიცასაც და მეც, სამუდამოდ დაგვანახსოვდება ეს რამდენიმე ძვირფასი დღე და მათნი შთაბეჭდილებანი, რომლებიც ასე ძლიერად ჩაგვექდნენ გულში; როგორც ახლო, ისე შორიდგანაც, მუდამ ვეცდებით ყოველივე განვიზიაროთ, რაც კი ჩვენს მეგობარს საფრანგეთს შეეხება. კავშირი, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აერთებს, უფრო მეტად განმტკიცდა და გახახლდა იმ საურთიერთო თანაგრძნობით, რომელმაც ასე მჭევრმეტყველურად იჩინა თავი აქ და რომელსაც რუსეთი არა ნაკლების თანაგრძნობით გამოეხმაურა (მოძრაობაა). ის გულითადი ერთობა, რომელიც ჩვენს ორს დიდს სახელმწიფოსა აქვს და რომელიც მშვიდობიანობას სიყვარულით არის გასჭვალული, უთუოდ ძვირფასი ელემენტია მთელის კაცობრიობის მშვიდობიანობისა და სხვების პატივისცემის ღირსი, რადგანაც არავის უფლებას იგი არ ეხება (მოძრაობა). ვსვამ სადღეგრძელოს ჩვენის მოკავშირისა და მეგობრის საფრანგეთისას, მისის ძლიერის მხედრობისა და საუცხოვო ფლოტისას (აღტაცებული ძახილია). ნება მომეცით, ბ-ნო პრეზიდენტო, კვალად გაგიმეოროთ მადლობა და თქვენი დღეგრძელობა ვისურვო. ორკესტრმა მარსელიეზა დაუკრა. ფრანგებმა და რუსებმა ამის შემდეგ იმპერატორისა, იმპერატრიცასი და ლუბეს სადღეგრძელოდ მრავალ გზის მიუჯახუნეს ერთმანეთს ჭიქები.

რეიმსი. მათის უდიდებულესობის პატივსაცემად პრეზიდენტმა ლუბემ 500 სულისათვის საუზმე გამართა. ფანჩატური, რომელშიაც საუზმე იქმნა გამართული, მშვენივრად იყო მორთული დროშებით, ხმლებით, კასკებით, ყვავილებით, მცენარეებითა და სხვ. მათნი უდიდებულესობანი სწორედ შუაგულ ადგილას ბრძანდებოდნენ. იმპერატორის მარცხნივ ქ-ნი ლუბე იჯდა იმპერატრიცას მარჯვნივ—პრეზიდენტი ლუბე.

მისმა უდიდებულესობამ დელკასეს თავისი და იმპერატრიცას სურათი უბოძა წარწერით. საგანგებო ხელობის ჩარჩო ბრილიანტებით იყო შემკული.

რეიმსი. ვიდრე მატარებელში ჩაბრძანდებოდნენ, მათ უდიდებულესობათ დამსწრე დიდებულებთან ინებეს ლაპარაკი. იმპერატრიცამ ხელი ჩამოართო ქ-ნს ლუბესა და მადლობა გარდაუხადა, შემდეგ აღირსა ხელის ჩამორთმევა აგრეთვე მინისტრების მეუღლეთაცა და ქ-ნს დეშანელსა და ფალიერს. იმპერატორმა ხელი ჩამოართვა გენერალს ანდრესა და საფრანგეთის მხედრობის გამარჯვებისა გამო თავისი კმაყოფილება განუცხადა. შემდეგ მისმა უდიდებულესობამ ხელი ჩამოართვა მინისტრებსა და ვალდეკ-რუსსოს, რომელსაც მცირე ხანს ესაუბრა, შემდეგ ქ-ნს ლუბეს, დეშანელს, ვალდეკ-რუსსოს. ლუბე და ქ-ნი ლუბე იმპერატორსა და იმპერატრიცას ვაგონში აჰყვნენ. მისმა უდიდებულესობამ პრეზიდენტს ლუბეს რამდენჯერმე მოწყალედ გაუწოდა ხელი, აგრეთვე იმპერატრიცამ. შემდეგ ასრევე გაუწოდეს ხელი ქ-ნს ლუბესაც, რომლის შემდეგაც პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ საიმპერატორო ვაგონი დასტოვეს. გაისმა მატარებლის წასასვლელი ნიშანი. მათნი უდიდებულესობანი ვაგონის ფანჯარასთან იდგნენ და ისე ემშვიდებებოდნენ. პლატფორმაზედ მდგომთ ყველამ ქუდები მოიხადეს. ზარბაზნის ხმა გაისმა. ჯარებმა სალამი მისცეს, ორკესტრებმა დაუკრეს. ყველა მხრიდგან ისმოდა ძახილი: „რუსეთს გაუმარჯოს!“

პარიჟი. ვალდეკ-რუსსოსთან გამოთხოვების დროს იმპერატორმა გადასცა პარიჟის ღარიბთათვის 100,000 ფრანკი, დუნკირხენის ღარიბთათვის 15,000 ფრანკი, ედმპაინის გაჭირვებულ მცხოვრებთათვის--15 000 ფრანკი, რეიმსის ღარიბ მცხოვრებთათვის 15,000 და 500 ფრანკიც რიპოში დაზარალებულთათვის.

ჰააგა. საერთაშორისო სამედიატორო სამართლის საადმინისტრაციო საბჭოს წევრებმა წერილობითი ცნობა მიიღეს, რომ ბურების შუამდგომლობას იმათი საქმის სამედიატორო სამართლით გარდაწყვეტის შესახებ საბჭოს მხალობელს სხდომაზედ წარუდგენენ განსხილველად.

ამსტერდამი. „Handelsblatt“-ის სიტყვით, ბურების მისსიის წევრებს მინისტრ-პრეზიდენტ რუპპერტთან გუშინ ხანგრძლივი ბაასი ჰქონიათ.

10 სექტემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა საქმეთა მინისტრმა „Петербургская Газета“-ს ცალკე ნომრების გასყიდვა აღკრძალა ერთის თვით.

ასტრახანი. საგუბერნიო საქონლის გამოფენა გაიხსნა.

ჰამბურგი. რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა $3^{1}/_{2}$ საათზედ მობრძანდნენ და რამდენისამე წამის შემდეგ კილში წაბრძანდნენ.

კილი. რუსეთის იმპერატორი და მეპერატრიცა 6 საათსა და 15 წამზედ მობრძანდნენ, რომელთაც შეეგებნენ პრუნცი გენრიხი მეუღლითურთა და უავგვისტოესი შვილებითურთ, პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე გერცოგი ოლდენბურგისა მეუღლითურთ და საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოზი. სასახლეში დაჰყვეს სამს საათსა და შემდეგ ისევ წაბრძანდნენ. თან გაჰყვნენ დიდის მთავრის მეუღლე ოლგა ალექსანდრეს ასული და პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე გერცოგი ოლდენბურგისა.

რომინტენი. იმპერატორი ვალჰემი რომინტენის სანადირო ციხეში 7 საათზედ მიბრძანდა.

პეკინი. ქალაქში მშვიდობიანობაა. პრინცმა ცინმა აცნობა დღეს ელჩებს რომ ავსტრალიაში, ამერიკაში. ფილიპეს კუნძულებზედ, იავაზედ, ბორნეოში, სიგონში და რონგაპურში საზღვარგარეთი თანხის შესადგენად აქაურ ჩინელებთან დეპუტაციებს ჰგზავნიან.

მოსკოვი. შილოვოს სადგურზედ (მოსკოვისა და ყაზანის გზაზედ) 9 სექტემბერს შემდეგი უბედურება მოხდა: სამხედრო მატარებელს № 24 საქონელის მატარებელი № 93 დაეჯახა, რომლის დროსაც დაიმტვრა ექვსი ვაგონი და დაიჭრა 4 ჯარის-კაცი.

არხანგელსკი. მხატვარის ბორისოვის ექსპედიცია ახალი მიწიდგან მშვიდობით დაბრუნდა.

ყაზანი. ენგელგარდტის სახელზედ უნივერსიტეტში ახალი ვარსკვლავთმრიცხველი ობსერვატორია იქმნა გახსნილი.

პარიჟი. ჯარების ნახვის გათავების შემდეგ პარიჟის ქალაქის საბჭოს პრეზიდენტმა დოსსემ იმპერატორის ნახვა ითხოვა. დოსსემ მათს უდიდებულესობას პარიჟის ქალაქის საბჭოს სახელით სალამი უძღვნა და სინანული გამოსთქვა, რომ პარიჟის მცხოვრებთ არ შეუძლიანთ ისე შეეგებნენ, როგორც ეს 1896 წ.ლს იყო.

ბერგენი. საღამოს 11 საათსა და 45 წამზედ ალვერსეში დიდი ცეცხლი გაჩნდა. ზარალი დიდია.

პენზი მოზელისა. საიმპერატორო მატარებელმა საზღვარი დადანიშნულს საათზედ გადმოვლო.

პარიჟი. ყველა ჟურნალები და გაზეთები დიდის თანაგრძნობისა წერილებსა ჰბეჭდენ რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცას საფრანგეთში მიბრძანების გამო.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 10 სექტემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის წყლის სადენ მილის გამართვის საქმე მილიუტინის ქუჩიდგან ალექსანდროვის ქუჩაზედ ბაქრაძეს სახლამდე. სიგრძე მილს ექმნება 135,00 საჟ., სიგანე —0,33×0,22 საჟ. სამუშაო 2450 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შხტა“-სი

აუწყებს ამ ამხანაგობის პაის პატრონთ, რომ მესამე ვადა 10%-ს შესატანისა, ე. ი. 10 მანეთისა თვითეულს პაიზედ დანიშნულია 14-დგან 22 სექტემბრამდე. ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ პაის კვიტანციები. ამასთანავე მოვაგონებთ პაის პატრონთ საამხარაგო ხელშეკრულების მე-7 §-ს. ამხანაგობის კანტორა ერევნის მოედანზეა, ხარაზოვის სახლში.

(4—116—3)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს, მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Сентября 1901 г.
სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118.
რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**